ფათ გადაფრინდა მეორე ნაპირს. აქ მეუნასა და მყრალ ბა-
ლახებიდან ამოქექა მთელი ხროვა ამ გვარივე ლოკომინებისა.
და მჩავალი სხვა თეთრი ბრჭყვიალა ნივთები, გაშალა მზეზე,
შემდეგ თვითოულს ცალკ-ცალკე ნისკარტით იღებდა, ზეცით-
ისროდა, ზედ აჯღებოდა, თითქოს ესენი კვერცხები ყოფი-
ლიყო; თამაშობდა და სტკბებოდა ამ ბრჭყვიალა ნივთებით,
როგორც ძუნწი თავისი სიმღიდორით. როგორც კი მოსწყინდა.
ამათი ცეკვა, უმალვე გადააფარა ზემოდან ფოთლები და გა-
ფრინდა. მე გაშინვე გავეშურე იმ აღილისაკენ, მინდოდა გა-
მეგო, თუ რა განძი იყო. მთელი ეს სიმღიდორე ჩემს ქუდში
ჩაეჭოდა და განსაკუთრებით თეთრ კენკების, ლოკომინების
და თუნცუქის ნატეხებიდან შესდგებოდა. ამათში ფიცურის
ფინჯნის მომტვრეული ყური ერია. და ეს უნდა ყოფილიყო
ამ კოლექტის მარგალიტი. ნიშა მიხვდა, რომ მის საუჯვეს
მიაგნეს და საჩქაროთ ადგილი უცვალა, მხოლოთ საღ გადაი-
ტანა ეს — კი ველარ გავიგე.

იმ ხნის განმავლობაში, როდემდისაც მე ნიშა ყვავს თვალს ვადევნებდი, მას თივზე ბევრი რამ გიღანდა: იგი არა ერთხელ გამოსულა გამარჯვებული საშიშ საფრთხედან. მას სხვათა-შორის ჩვეულებათ სჭირდა ყოველ დილის პაწია ფრინველების კვერცხებით ესაუზმნა. ამიტომ ის ყოველ დილა ჩამოუკელიდა წვრილი ჩიტების ბუდეებს და შეექცეოდა ახლათ დადებულ კვერცხებს. ჩასაკვირველია, ჩვენ — ადამიანები ნიშას ასეთ საქციელს ვერ გავიკავთ, რაღან განა ჩვენც იგრევე არ ვექცევით ქათმებს?

ნიშა ყვავი ხშირათ კუა-მახვილობას იჩენდა. ერთხელ
დავინახე, რომ იგი ღრმა ღელეზე მოფრინავდა. ნისარტში
პურის ნაქერი ექირა. ამ ღელეზე ნაკადული ჩამოდიოდა.
უეცრათ პირიდან პურის ნაქერი გაუშვა და შიგ წყალში ჩაუ-
ვარდა. სწორეთ ამ დროს ამ ნაკადულიდან წყალ-საღენი მი-
ლი გაჰყვდათ, შოლოთ მუშაობა ჯერ დაუმთავრებელი იყო.
სანამ პურის ნაქერი მიღს მიაღწევდა, ნიშას იმედი ჰქონდა
მისი დაბრუნებისა, მაგრამ როდესაც პურის ნაქერი წყალ-სა-

დღე მილში შეცურდა, იგი უიმედუთ შეჩერდა და ბნელ შესტკონია დაუწყო ყურება. უცბათ რაღაც ახრმა გაულენვა, აფრინდა და გაეშურა იქთ, საითაც წყალი მიმდინარეობდა. როგორც კი მიადგა მილის მეორე გახვალ პირს, შედგა და დაუწყო ცდა. პურის ნაკერის ჩამოვლას. მართლაც მალე გამოჩნდა პური. ნიშამ დასტურა ნისკარტი და გამარჯვებულმაგრა გაექანა შინისაკენ. ფილი ისორებდე და ფრეჭხით — ! ფილ თუცების ასე მიმდინარეობდა ნიშა ყვევის ცხოვრება, ვიდრე ახლათ გამოჩეკილი პატარა ბლარტები არ წამოეზრდებოდენ. პირველათ პატარა ბლარტებს აუმცა მოკლე ბოლოები აქვთ, ბუმბული ჯერაც გაუმაგრებელი და ხმაც საშინელი მჩხვანა და ხრინწიანი აქვთ, მაგრამ ტანის სიღილით თავიანთ დედ-მამას არ ჩამოუვარდებიან. როგორც კი ცოტათი მოიზრდებიან, მათვის სხვა და სხვა ვარჯიშობა საკირო. ამიტომაც დედ-მამას შეჰყავთ თავისი შვილები ფიჭვნარიან ტყეში, რომელიც ერთ და იგივე დროს უზრუნველი აღვილიც არის და მასთან კარგი სავარჯიშოც. პირველ ორ კვირის ერთმანეთის გაცნობას ანდომებენ, რაღანაც ყოველ მათგანმა ამხანაგის სახე აუცილებლათ უნდა იცოდეს. დედ-მამა კი ამ ხნის განმავლობაში, დიდი შრომისა და ჯაფის შემდეგ ისვენებს. დაბუმბლულ ბლარტებს, ანუ ახალ თაობას, უკვე თითონ შეუძლიან თავიანთი გამოკვება. ღამეს დიდებთან ერთათ ხის ტოტებზე ატარებენ. ერთი ორი კვირის შემდეგ ყვავები იწყობენ ბუმბლის გამოცვლას. ამ დროს ისინი საშინლათ ენიანობენ და მასთან მშიშარებიც ხდებიან; მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ისინი მუჟაითათ ასწავლიან თავიანთ შვილებს.

ენ კენისთვის დამდეგს დიდ ცვლილებას დაინახავთ ამათში. ახალგაზრდა ყვავები ჭკუაზე მოვიდენ. მათი თვალის ბაიების ცის-ფერი რიდე ყავის ფერათ შეეცვლებათ. ახლა მათ სწავლა უკვე დაამთავრეს: კარგათ არჩევენ მოხუც მანდილოსანს ხუთმეტის წლის ბიჭიდან, ქალს-ვაჟიდან. იციან, რომ ქოლგა თოვი არ არის. შეუძლიანთ ექვსმდე თვლა, მხოლოდ ნიშა ყვავს-კი ოცდა ათამდე. ყნოსვით ჩვებენ? საფანტის სუნსა და შორს გაურბიან მონადირეებს. ამასთან იმის ეშმაკობაც ნეკი აქვთ, რომ თუ ქამისა დროს მეღის თავი მოაბეჭრეს, იგი თავის სადილს თავს მიანებებს და ნახევარს მათ დაუტოვებს. ენ კე-



• ნისთვის დამლევს უფრო კარგი შესახედი არიან ღიღდტ ჭყაფუტჩის: ესებ
• მათ ახალი ბუმბული ამოუფიდათ და სრულიად დაჯანმრთელ-
• დენ და ოდრინდელივით მხიარულობა დაწყეს. ნიშა ცვავიც
• ახლა უფრო მხიარულათ, უფრო მეტის ძალ-ღონით და ხალი-
• სით ეკიდება საქმეს: ის გულმოდგინეთ, ყოველ ღიღას, ასწავ-
• ლის თავის შეგირდებს სხვა და სხვა ნიშნების მწიშნელობას.

„କିମ୍ବାରେଣ୍ଟ ରୋଗ“! —ଦାନୀଦାନୀଶ୍ଵରଙ୍କ ଏହି ଉତ୍ତରାଳୀର ତାଙ୍କୁ ପ୍ରାଣିର ଜ୍ଞାନରେ ଦା ଗୁରୁତବିରୁଦ୍ଧ ଲାଭିଲାଯିବ କମାତୁରାଳୀର ଗମନୀୟାଶ୍ଵରେଣ୍ଟଙ୍କ ବ୍ୟାଧିରେ ମାତ୍ର ।

„გაფრინდი! უბრძანებს ბელადი, თხვში თითონ მოექცეოდა და გუნდიც უკან მისდევდა.

„შეერთდით!“ და ერთ წუთში შეჯუფდებოდენ ხოლმე. მაგრავ „გაიშალე!“ ამ სიტყვებთან ისინი იფანტებიან აქეთ-იქით, როგორც ფოთლები ნიავზე.

„დალაგდით!“ და ყველანი ხელ-ახლათ მწყობრათ მწკრივ-დებიან გასატრენათ. მასი და მიმდევოთ იუცცემულმა მარტ ძრების „საკვებზე!“ ყველანი ეშვებიან ძირს და იწყებენ საჭმელის ძებნას. მაშორებით კი სხვა და სხვა ადგილას დგას ორი ყვავი და ყარაფულობენ მოვარჯიშეთ. რამდენიმე წამის შემდეგ ნიშა იძახის: „კაცი თოფით!“ დარაჯები იმეორებენ ამ გაფრთხილებას და მოელი გუნდი რაც შეიძლება სწრაფათ მიღრინავს ხეგინას კენ თავ შესათარათ.

დარაჯების მოვალეობას ჯერ-ჯერით კი არ ასრულებენ, არამედ განსაზღვრული ყვავების რიცხვია დანაშაული, რომ-ლებსაც მრავალჯერ დაუმტკიცებიათ თავითნთა სიფრის და ამის გამო ისინი მუდმივ დარაჯებათ ინიშნებიან ხოლმე. ყვა-ვებს თავისი შინაური უზოგრება სამაგალითოთა ძქოთ მოწყო-ბილი და საუკეთესოთაც ითვლება ფრინველთა შორის.

III.

ზოგჯერ ყვავი მეტის-მეტათ სულელია—სახელდობრ ღამით. და ერთათ ერთი ფრინველია, რომელიც ღამ-ღამით ყვავებს შიშის ზარსა სკემს—ეს ბუ არის. საკმარისა ყვავებს ბინდისას მოესმოთ. ბუს კიიღილი, რომ ფრთხებიდამ ამოყონ თავები და მთელი ღამე შიშით და ალიაქოთში გაატარონ. ასეთი შიში და ღამის ტეხა შათ იაფათ არ უჯდებათ

ხოლმე; რათ ტქმა ქუნდა თუ ეს ტბაყი ზამთრის ლამეში შოთაწევა
ამათი თავი სითბოს მიჩვეულია და თუ სიცივეში გარედ გამო-
ჰყობენ, თავი სა შინლათუ უცივდებათ, თვალები უკინებათ და .
მხედველობას კარგავენა ცეცხლინენ. ამ, ამ ცა ცეცხლიც თვალი და
— არ თუ . ღიმის ცა ვა ვა ვა ღილასს ფარაურჩენ, ვათენებისას უ აღარ არ
უჭირთ რა ის ჩინი, ! როგორც კი ინგოლებს ხოლმე; ც უმალვე
აიშლებან ცი იწყებენ ახლო-მახლო ც მიღამოებ შოუგაბეჭულათ
ფრენას იდა ვა ფა ცი ცეცხლით ეძებენ ბუს და ც ვა იმ იმისა მრალი,
თუ ხელში ჩაიგდეს, ც სა ი კვდილოთ ვარან და ზოგავენ; ჩაკორი
ტნიან ხოლმე და შორს სადმე გააძევებენ.

ზამთარი იდგა. დედამიწა თოვლით იყო დაფარული. ტყე-
ში დავსეირნობდი და უცბათ კურდლის კვალს წავაწყდი.
ეტყობოდა ვილაცა და ფთხო და ისიც ხეებს ამოპარებოდა.
მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ მდევარის კვალი არსად ჩან-
და. მე გავყევი კურდლის ნაფეხურს. მალე სპეტაკ თოვლზე
სისხლის წვეოვები გამოჩნდა. პატარა მანძილი რომ გავიარე
ნახევრათ შექმულ ყავის-ფერ კურდლელს მივადექი. როგორ
მოეკლათ იგი ჩემთვის საიდუმლოს წარმოადგენდა, მაგრამ
გულმოდგინე ძებნის შემდეგ თოვლზე ვიპოვნე ორი ბრჭყა-
ლიანი კლან ჭის კვალი და ლამაზათ დაჭრელებული ყავის ფერი
ბუმბული. ახლა კი ჩემთვის ყოველისფერი აშეარა იყო: მკვლე-
ლი, ეჭვს გარეშეა, ცნობილი „რქებიანი ბუ“ იყო. ნახევარ
სათოს შემდეგ ამ აღვილზე მეორეთ გამოვიარე. იქით, საცა-
ეს მსხვერპლი იყო, სისხლში გასვრილი ბუ დავინახე. ჩემს
მიახლოვებაზედ ერთი საშინლათ ამოიჩინელა, აუქარებლივ
დაბლა-დაბლა გაფრინდა და შორს ტყეში შიმალა.


გარიერავისას — ორი დღის შემდეგ — ყვავებს საშინელი
ალიაქოთი აუტყდათ. გარეთ გამოველ, მინდოდა გამეგო საქმე
რაში იყო; დავინახე — სპეტაკი თეთრი თოვლი მთლათ შავი
ბუმბულით იყო მოფენილი. სწრაფათ იქით გავწიე, საიდანაც
ქარს ბუმბული მოჰქონდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გასი-
სხლიინებულ და გაფიჩებულ ყვავს მივადექ. ეჭვ შევნიშნე
იმავე ფრინველის კვალი, რომელმაც საბრალო კურდლელი
იმსხვერპლა. გარშემო ბრძოლის კვალიც მოსჩანდა; აღმოჩნდა,
რომ მოსისხლე განმანადგურებელს ესარგებლნა. ლამის სიბნე-



ლით და საწყალი ყვავი ხის ტოტიდან ძირს ჩამოეგდო—და მოეკლა.

საბრალო ყვავი თოვლში იყო ჩაფლული. მისელის უმაღლესი გადავაბრუნე თუ არა, მას შემთხვევით თავი ჩემკენ გიღმულებულდა და ვიცანი, რომ ეს ჩვენი ნიშა ყვავი იყო. სიბრალულით ერთი ამოვიკვნეს. საბრალო ნიშა! მისი ხანგრძლივი, სასარგებლო სიცოცხლე მოაკლდათ მის მოგვარეებს. იგი მსხვერპლი შეიქნა იმ მტარევალის, რომლის საფრთხიდანც იფარავდა იგი თავის მომავალ თაობას, პატარა ყვაიებს.

ତାରୁଗମାନ ତାମାର ନାମ୍ବଲ୍ଲି ଶ୍ଵଇଳିକୀସା ।



କେବଳ ପାଦମଣିରେ ଯାଏନ୍ତି କିମ୍ବା ପାଦମଣିରେ ଯାଏନ୍ତି କିମ୍ବା

ამჟავი ზესკნელისა.

დამიანის გონებამ მიაგნო ცეცხლს,
შეჰქმნა ხელოვნურათ სითბო და სინა-
თლე—ანთო მკარი, შეშა, ქვანახ-
შირი, ქრაქი. სანთელი ლამპარი და
ელექტრონი, მაგრამ ყოველივე ეს სი-
თბო — სინათლე და მათი ძალა ისევ

შჩის ენერგიის უნარია...
მთელს სიცოცხლეში მცენარე სულ იმას ცდილობს რაც
შეიძლება ბლობათ მოაგროვს თავის საკუჭნოში შზის ქვერეთ,
მისი სითბო—სინათლე. ჩევნ უკვე ვიცით რო ცყვლა მცენა-
რეს ცეცხლი ადგილათ ეკიდება, იწვის და სითბო—სინათლეს
გვაძლევს, ვიცნობთ უფრო შეშას და მის ნახშირს... მცენა-
რეთა უნარი ამითი არ თავდება, დღეს-ქვანეშირათ უზარმაზარ
ქარხანა-ზაროდებს ატრიალებენ და გეგ—ხომალდებს, აკინის
გზის მატარებლებს დაასრიალებენ.—ჰო და ქვა-ნახშირი იგი-
ვე მცენარეა, გაქვავებული შეშა. ოდესლაც ხეების ოდენა
ჩაღუნები და ცველა გვარი ხეები მიწაში ჩაიმარხენ, გაქვავ-
დენ, რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში ქვა-ნახშირათ გარ-
დაიქცენ, ამ გვარათ ის ძალა და ენერგია, რომელიც ვინ
იცის რამდენ ათას წლის წინათ მზემ დედმიწას მოუვლინა
და მცენარემ აკრიფა, გულში ჩაიმარხა, აგერ დღეს ეს ჩამარ-
ხული ძალა მთელის თავის ენერგიით მუშაობს: ელექტრონის

ლაშპრებს გვინათებს, ჩვენ სასარგებლოთ გვემსახურება — რომ—
ქლით ამოძრავებს ათას გვარ მანქანებს და სხვა...

მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც ჩვენ ელექტრონს.
მივიღებთ ხოლმე ორი ლითონის ერთმანეროთან შეხებით,
ხახუნით, შეიძლება ითქვას, რომ ამ ენერგიის წარმოშობაში
მზე არაფრს შუაში არის, მაგრამ უფრო ვინ იცის, მართ-
ლაც და ჩვენ თავათ ესთქვათ: ხო იყო დრო, როდესაც ეგ-
ლითონი დედა მიწის გულის ცეცხლში დუღდა, ხომ გვწამს,
რომ ჩვენი დედა-მიწა, როგორათაც სხვა პლანეტები, მზის ანა-
გლეჯაა, ბლარტია... მაშისადამე აქაც სიობო — სინათლის,
ელექტრონის წყაროც ისევ მზე ყოფილა, მისი ენერგია განა-
ებს.

ჩვენ აგრეთვე საესტრიდ ვსარგებლობთ ზღვის წყალის.
ზერითთამოვარდნის დროს, მისი საშინელის ძალით, აი ამ ძა-
ლას მთვარე განაგებს, მაგრამ მთვარე ვიღდა ბრძანდება თუ არ
მზის უურმოკრილი უმა — განა კისი წყალობით ანათებს და
აშექებს.

ჯერ საიმისო არაური გასკირებია დღამიანს, თორემ გა-
ნა არ შეუძლია პირდაპირ დედა-მიწის გულიდან ისარგებლოს
სიობო — სინათლის ულეველი ენერგიით. სადაც ისეთი ჯოჯო-
ხეთური სიცხე ტრიალებს, რომ რკინა და ოქროც კი სდუდს.
მაგრამ რათა, რისოვის გავიკიროთ საქმე, როდესაც ყოვლათ
ძრიელი მზის მადლი თვითონ მოვალება ხოლმე კარზე
ჩვენდა საკეთილდღეოთ.

მზის სინათლის სიძრიელე. მეცნიერებმა გამოიკვლიეს
მზის სინათლის ძალა და აი რა აღმოჩნდა; აიღს ერთი თაბაზი
ხი თეთრი ქალალდი და უღრუბლო მზის გულას გაპონეს.
მზის გაცხარებული სხივები რაოდენ სინათლეს, შექს იწვევდა
თეთრი ქალალისგან ეს დანიშნეს, მერე უშეოთ სცადეს და
იმავე სიდიდის ქალალისგან იმოდენა შუქის, მისაღებათ საჭი-
რო გახდა 288,000 ანთებული სანთვლი და ისიც რა ერთი
აღლის სიშორეზე უნდა დაგედგათ სანთლების ეს უშველებელ
ლი ჩირალდანი. — სამოსუნდ თითოებულ მიერთ მიუცის თუ მოცი

ჰო და აბა სად ერთი ადლი და სად მზის სიშორე, რო-

დესაც ვიცით; რომ მზე 150 ათას მიღით ადლით არის ჩემი უკანასკნელი ზე დაშორებული.

მეცნიერმა ბონჯია ისიც დაამტკიცა, რომ მოვარის შუქი 470,000 ჯერ სუსტია მზის სინათლესთან. შედარებით, მაგრამ ჯერ სადა ხართ!.. მეცნიერის აქნდეს გამოკვლევით მზეს სინათლის ძალა ჩვენამდე მხოლოდ ნახევარი თუ უწევს, დანარჩენი მეორე ნახევარი ძალა სამყაროს უსაზღვრო სივრცეში იფანტებათ. ი აქედან შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ რა საშინელი ძალისაა მზის სინათლე.

კარგი და პატიოსანი, აბა ახლა ისიც ვიფუქროთ, აგრეს ეს რამდენი მილიონი საუკუნეა, რომ ასეთის საშინელის სიძრიელით აშუქებს მზე, საინტერესოა ვიცოდეთ რატომ არ ილევა ეს ძალა, მზის ენერგია?.

გზის სითბოს ბნელი სხივები. სამყაროს შუა ცეცხლის, მზის, გულში მეტათ დიდებული პროცესი ხდება. წარმოსაღენათაც ძნელია რა უზარ-მაზარი ძალა და უნარი აქვს მზის სითბოს ბნელ სხივებს. აქ ისიც უნდა ანგარიშში მიიღოთ, რომ ნახევირი მეტი ამ სითბოს ატმოსფერის (პარის) მიერ შთაინთქება ხოლმე. თანაც განა ღრუბელთა გროვა, ეს კეშაბთა ქარავნები, განა ესენი კი ნაკლებ სითბოს ჰყლაპვენ.

მიუხედავათ ამისა, რო ავიღოთ შევი ქაღალდი ოთხ-კუთხი ადლის სიღიღისა და ერთ წუთის გახურებულს მზეს უცხუნოთ, იმოდენ სიცხეს მოიმატებს, რომელიც უდრის ორი ცხენის ძალას (თუ რომ ამ სხივთა ძალას, ორთქლის მანქანის ქვაბს, ცეცხლის მაგივრათ შეუცოდეთ).

იგრე 30 წელიწადი მეტია მეცნიერები გატაცებული იკვლევენ: ნეტა თუ ვიცოდეთ მზის გულში რამდენი გრადუსი სიცხე ტრიალებსა, ზოგი მეცნიერი ძრიელ მაღალ ფარდებში ავიდა - 40 მილიონი გრადუსი სიცხე ტრიალებს მზის გულის ქურაშით. მეცნიერმა სეკვიმ ფერეთვე დაადასტურა 40 მილიონი. ბოლოს ტრიას კი ძრიელ დასწიეს ეს ჰიპოტეზა, უფრო ნამდვილი იქნებათ უმაღლესი და უძრიელესი 15 ათასი გრადუსი მივიღოთ და ზოგი კი 10000 გრადუსი სჯერდება, ხოლო სულ უმცირესათ 4500 გრადუსი სიცხეა მიღებული (პროფესიონალი ცარისაკი).



ადამიანს ყველაზედ მეტათ ის აწუხებს, უნებლივი შეუძლებელია თხვაშია, თუ, როდემდის შესძლებს მიწის გული ქსოდენ ცაა-რე სითბო-სინათლის ულეველათ ფრჩვევას! ნათქვამია: „ზღვა კოვზით დაიღიათ“ ეს ხო ვიცით რო ქვეყნიერობაზე დაუ-სრულებელი არაფერია, მართლაც და დედამიწის სიცოცხლე-სთან ძრიელი კავშირი აქვს ამ საკითხს — როდის ჩაქრება მსე?.. და მოისპობა სიცოცხლე ჩვენს დედა-მიწაზედაც.

მეცნიერები გვანუგეშებენ — მზის აღსასრული არც თუ მაგრე ჩეარა მოვაო, სულ კოტა ორ მილიონ წელიწადს კი-დევ იცოცხლებსო. ხოლო მას მერე ადამიანის გენიოსობა აღმართ იმასაც მოახერხებს, რომ დედამიწის გულის სიცხეთი (თუ ესეც არ გაცივდა) ისარგებლებსო. ბოლოს და ბოლოს რასაკეირველია ამ ენერგიასაც ბოლო მოედება, ამოიშრიტება. ბოდებელმა მიტროპოლიტმა სოჭვა: „თუ მე არ ვიქნები ქვა ქვაზედაც ნუ-და ყოფილათ“. ჰო და ორ მილიონ წელიწადს მერე „ან ვირი და ან მისი პატრიონიო“

III

დიდებული მზე ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე იმდენს მაღლს და უნარს აფრიკვეს, რომ ყველა მისი წყალობა კალ-მით ვერც-კი აიწერება. — წარმოვიდგინოთ თუ გინდ კიდევ ერთი მაგალითიც. მზის ცხარე სხივებს ორთქლათ ააქვთ წყალსა და ხმელეთიდან აუარებელი სინოტიკ, რომელიც ღრუბლათ დაყურსდება ხოლმე და მერე დედამიწას რწყავს წვიმის სახით, რითიც ხარობს ჩვენი მარჩენელი მცენარეულობა, ჩვენი ნა-თეს-ნაამაგდარი ჭირნახული და სხვა. —

გამოკვლეულია, რომ დედამიწის შუაგულ ცხელ ქვეყნე-ბიდან (ეკვატორიულ მიდამოებიდან) ყოველ წლივ ჰაერში ორთქლათ აღის 600 ბილიონი კუბიკური მეტრი წყალი*) ამ აუარებელ აღორთქვლილ წყალს ჰაერი აიტაცებს ხოლმე და გადააქვს დედამიწის პოლიუსებზე (ბურთის თავსა და ბო-ლოზე) და ამ საშინელ სიშორეზედ თავს ესხმის იქ ყინულთა სამეფოს

ჰო და ჰაერი (ატმოსფერო) ამ უნარს და ძრიელებას

*) ავილოთ რაიმე ჭურჭელი ოთხ-კუთხ აღლის სიღიღისა და ექვ-სასი (600) ბილიონი წყალი ავწყოთ ამ ჭურჭლით.

იძენს მხოლოთ მზის თბილ ნაკადულთა წყალიობით - მზის ჟუქ-შეგრძელებით. — ამ უზარ-მაზარ უნარს, მუშაობას — ისიც დაუმატოთ, თუ რა აუარებელი ორთქლათ ასული წყალი რჩება იქვე და ცხელ ქვეყნებში იფინება წვიმის სახით მოვლინებული.

გამოანგარიშებულია, რომ ის ექვსასი ბილიონი წყალი, რომელიც ეკვატორიდან ჰაერშია ხოლმე (ყოველ-წლივ) ატა-ცებული, ეკროპის ოდენა სივრცეზე რო დავაგუბოთ, მთელი ზღვა შეიქნებოდა 66 ადლის სილრმისა თუ სიმილის. ჰოდა ამოდენა წყალზე (ზღვაზე) ხო გემებიც თავისუფლათ იცუ-რავებდენ. დიალ, ყველა ამ შრომას მზე ასრულებს დაუღა-ლავათ, თითქოს ხუმრიობით, ისე სახალისოთ, სათამაშოთ და, ჩვენ თუ ვამცნევთ რასმე მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ, როდესაც ქარიშხალი აზანზარებს ჩვენს სახლებს ანუ როცა ასტყდება ხოლმე შესაზარი აურ-ზაური, კექა-ჭუხილი და მეხის ელვა-სრიალი.

ახლა ისიც უნდა ვსთქვათ, განა მზეს მხოლოთ ჩვენი დედამიწა აქვს საზრუნვლათ? ის ხომ ვიცით, რომ მზე ანთე-ბული სანთელივით ყველა მხრივ ერთგვარათ ისვრის სიცხის-და სინათლის სხივებს. მაშასადამე მთლათ ცის კამარას, სამყა-რის სივრცეში ერთ ნაირათ იფინება მზის სხივოსნობა, მისი ენერგია.

გამოანგარიშებულია: მზის ენერგია სამი ათას მილიონათ რო გავწილოთ, აქედან მხოლოთ ერთი წილი შეხვდება ჩვენს საბრალო დედამიწას.

მზის სამეფო მეტის მეტათ უზარ-მაზარია, მისი საბრძანე-ბელი მრავალ ქვეყნებიდან შესდგება. ამ ქვეყნებს ცდომადა ფარსკელავები ჰქინიან ანუ ჰავანეტება (ბერძნ.) დავასახელოთ მზის უახლოესნი და მათი რიგზე მიმყოლნი: მერკერი, ჰენერა, დედმიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი და ნეპტუნი *)

*) მეცნიერებმა ლათინუა ღმერთების სახელები დაანათლეს ამ პლანეტებს და ეს ლათინური სახელები მიღებულია დღეს ყველა განათ-ლებულ ქვეყნებში. ქართველობა ეტყობა უფრო არაბულ ს.ხელებს ხმა-რობდა (შოთა რუსთავ.) და თითო ოროლა ქართულ ი სახელიც გამოუ-გონიათ (სულხან საბა ორბელიანი).

ახლა ამათ დაუტარეთ აუარებელი კულიდანი ვარსკლავები
დიდი და პატარა, რომელიც უშველებელ მანძილზე მზეს
უკლიან ერთხელ მისთვის დაკანონებულ შარა გზით (ორბიტი).
ამ ისეთი უსაკლვროა ჩვენი სამყარო, მზის სამეფო საბრძნებე-
ლი, ანუ როგორც მეცნიერებაშია მიღებული — ჩვენი მზის სა-
სტრიქო. მეტათ საგულისხმოა ის შესანიშნავი წესა და რაგი,
რომელიც მნათობთა შორის სუფევს. ეს აუარებელი სხეულ-
ი სამყაროსი დიდი და პატარა კალიასავით ირევიან, დასრია-
ლებენ უსაბორო სიფრცეში, მაგრამ ყველა თავის გზას ადგა,
კანონს ემორჩილება, სასტრიკი დისკიპლინაა გამეფებული. უკ-
დავმა მეცნიერმა ჩიურონმა *) მეტათ დიდი სასწაული მოახდი-
ნა მეცნიერებაში (ასტრონომიაში). მან აღმოაჩინა ეს ლიდებუ-
ლი კანონი სამყაროს სხეულთა ურთი-ერთ მიმზიდველობისა.

ზემოთ დასახელებულ პლანეტებს თითო თითოთ შემდეგ
წერილებში გვიცნობთ და იხლა კი ის უნდა გსთქვათ, რომ
სსენებულ პლანეტებსაც ყველას ერთად მზის ენერგია ხვდება.
200 მილიონის ერთი ნაწილი.—ხოლო მზის დანარჩენი ენერ-
გია კიდევ შრომობს, კიდევ ბევრს უნარს იჩენს დედამიწაზე.
მაგალითად, სიტოს და სინათლის სხვების გარდა მზე ისკრის,
აფრიკევეს სამყაროს სიცრუეში ეჯექტრონს და ანდამატიურ ენერ-
გიას, ძალას ეს იგი ელექტრონის და მაგნიტის (ანდამატი) ძა-
ლა იმავე მზის ენერგია არის და სხვა არაფერი. მაგრამ ყვე-
ლაზე უდიდესი უნარი მზისა მისი მიმზიდველობის კანონი და ძა-
ლაა, რომლითაც მთლათ სამყარო, ჩვენი მზის სისტემა არსე-
ბობს და სწარმოობს. ხომ გინახვით სასათას შექნიაზმის მუშა-

^{*)} პლანეტა სავალი შერა გზა.

ობა, პატია თვლების ტრიალი, მათი ერთმანერთთან დამტკუთხილისა და თან თავისუფალი შეშაობა. მხეს იმოდენ მან-ძილზე ჰყავს თავისკენ მიზიდული უზარ-მაზარი პლანეტები და ყველა მნათობი, რომ ისენი ერთმანერთს არ უშლიან არც ტრიალის დროს და არც გზაში ეჯახებიან ერთმანერთს, როცა მხეს გარს უვლიან. უფრო მარტივათ რო გამოესთქვათ, თვითვეული მნათობი თავისი უწყებული მანძილზე უკირავს მხეს — აღარც იქით უშვებს და აღარც აქეთ. მეცნიერებს დახატული აქვთ მზის სისტემის რუქა და აი როცა შემთხვევა გექნებათ კარგათ დააკვირდით. ყველა მნათობს თავისი საუთარი სავალი გზა აქვს მიკუთვნილი სამარადისოთ.

ჩვენ იმის იმედით ვგეჭდავთ ამ წერილებს, რომ მკითხველს აღუძრათ სურვილი და ხალისი ახლოთ გაიცნოს (ასტრონომიულ წიგნებით) ის მნათობი (მზე) რომლის ბედსა და უბედობასთან სულ შთლათ არის დაკავშირებული პირადი ჩვენი არსებობა და კეთილ დღეობა. დაუძლეველ უინით, გატაცებულის ინტერესით უნდა მივისწრაფებოდეთ ბუნების შესასწავლათ, სამყაროს გასაცნობათ. — მეცნიერი კ. შ. აზრით, ჩვენ არ ვხალისობთ მზის გაცნობას, რაღონ დარწმუნებული ვართ, რომ მზე ჩვენი დაუშრეტელი მწყალობელია, მაღლის მომცემია — არ გადაუვა, არ დაარღვევს თავის კანონს, რომლითაც გვზრდის, გვახარებს და უშურველათ გვანიჭებს კეთილ დღეობას.

ასე ყოფილა ყოველთვის. როცა აღამინი დარწმუნებულია, რომ ესა და ეს წყარო მისი ცხოვრებისა სამარადისოა ამ წყაროს ფასს აღარ სდებს, აღარ გრძნობს საჭიროთ პატივით და მაღლობით განისაზვალოს. მაშ ასე. სულაც საჭირო არ არის მზეს თავიანი ვცეთ, გვაღმერთოთ, მაგრამ გრძნობა სამართლიანობისა კი გვავაღებს ახლათ გვიცნოთ ეს ჩვენი კეთილის მყოფელი სიცოცხლის და ცხოვრების მომნიჭებელი. *)

ილ. ალხაზი შვილი.

*) ახლოთ გახაცნობათ შეგიძლიათ გამოიწეროთ: Солнце. Сочин. Т. МОРЭ съ предисловиемъ Камилла Фламмариона, цѣна 1 р. 26 к., съ переслыкою 1 р. 50 к. მისამართი: Петроградъ, Стремянная, 12. Издательство П. П. СОЙКИНА.



፩፻፲፭፯፭፳፭

ენგლის ხელი

მაგრამ გლეხ-კაცებს, რჩომლებიც ეს ემდუროდენ მატა
რებელს ის-ვი არ ესმიდათ, რომ სწორედ ამ მანქანის შეაღმა-
ბით მათ შეეძლოთ სულ მოკლე დროში, სადაც სურდათ იქ
მისულოყვინ. — ამის რომატებით და თევზე იძირდა ქართული

ტამეკიჩისთვის თრთქლ-მაგალითი რაღაც საიდუმლოებას
წარმოადგენდა. ის ყოველ დღე მიღიოდა რკინის გზის სადა-
რაჯოსთან, რომელიც ხილთან იდგა და უცქეროდა მას.
ერთის მხრით მის ყურადღებას აქ თრთქლ-მაგალი იქცევდა,
მეორეს მხრით სადარაჯოში მცხოვრები რკინის გზის მოსამ-
სახურე მოხუცი ითვალისწინებულ მომენტში შეუყვარდა სა-
კოდავი პატარა ბიჭი.

— Տապահանք կառավագական է և ամենալավ է այս տարբերակը:

სიამოვნო შეხედულობით და გულ-ფიცხობით სოფელში მართვილი მას.

ისაკებული ხაზი სამოც წელს გადასცილდა, უღჯახოთ ცხოვრობდა მარტოკა, მეისრეთ იგი რკინის გზის გაყვანისთანავე გახდა.

მოხუცი გვერდიდან არ იშორებდა ბოთლს ლვინით და კატის.

უნდა შევნიშნოთ, რომ იმის და მიუხედავათ, რომ იოსაკეს ცალი თვალი გაფუქებული ჰქონდა და თითქმის ყოველთვის მთვრალი იყო, იგი ფრიად გულ-მოდგინეთ ასრულებდა თავის მოვალეობას და ერთხელაც არა შესკდენია რა. გაიგებდა თუ არა ორთქლ-მავლის სტევნას, დაუყონებლივ გამოდიოდა სადარაჯოდან და ჩვეულებისამებრ აძლევდა მემანქანეს დაწესებულ ნიშანს.

ბავშვებს, მეტადრე გოგოებს, დანახვაც კი ეშინოდათ მოხუცებულის მეისრისა, მაგრამ ტამეკიჩიმ როგორლაც ჩქარა შეიყვარა იგი, მისი მეგობარი ვახდა და დიდხანსაც დაჭყოფდა ხოლმე მასთან.

შესაძლო იყო გვეფიქრა. რომ ეს ფრიად მრისხანე მოხუცი ტამეკიჩისთვის კეთილ ანგელოზათ გარდაიქცეოდა ხოლმე. შეიძლება ისიც გვეფიქრა კიდევაც, რომ უბედურს მოხუცს და უბედურ ბავშვს რაღაც უხილავი ძალა აერთებდა.





საკუ და „ბუჩი“. ისიც უნდა ითქვას, რომ „ბუჩი“ და სას-
კუს კატა დიდათ დაუმევოპრდენ ერთვანერთს.

წმირათ უნახავთ სოფულებს სადარაჯოში ღვინისაგან
შეზარხოშებული იოსაკუ, მის გვერდი მჯდარი ტამეეჩი,
კატა და „ბუჩი“, რომლებიც სადილის დანარჩენით ილუმი-
ბოდენ.

ყოველ დილას ტამეეჩი და „ბუჩი“ დარაჯთან მიღიო-
დენ, ერთათ უხვდებოდენ მატარებელს და მხოლოდ საღამო-
თი ბრუნდებოდენ სახლში. თანდათანობით ბავშიც ეჩვეო-
და იოსაკუს თანამდებობის ასრულებას. თუმცა მას არ ესმო-
და, თუ რას აჩვენებდენ საათის ისრები, მაგრამ, როგორც კი
სტვენას გაიგებდა, უკვე იცოდა, თუ საიდნ მოდიოდა მატარე-
ბელი და რომელი ნიშანი უნდა ეჩვენებინა მემანქანისაფიცის
თეთრი, ან წითელი ბარალი.

IV

რკინის გზის გაყვანის შემდე ერთი წელიწადი გავიდა,
როდესაც ევროპიულათ გამოწყობილი ორი კაცი და რკინის
გზის სამი მუშა ლიანდაგის დასათვალიერებლათ მოვიდენ.

დაათვალიერეს თუ არა ხიდი, დიდ ხანს ებასებოდენ
ერთმანეთს რილაცის შესახებ და ბოლოს სადარაჯოსაკენ გა-
მოსწიეს.

როგორც ელვა, ისე ეცა „ბუჩი“ უცნობ მოსულთ, მათ
ძლიერ გაუკვირდათ ესეთი თავის აგდება ძალისა, ცდილობ-
დენ მოეცილებინათ გაცოფებული „ბუჩი“, მაგრამ მისგან
ვერც ისე ადვილათ განთავისუფლდებოდენ.

დიდის გაჭირებით, საშინლათ განრისხებულმა უცნობე-
ბმა, როგორც იყო მიაღწიეს სადარაჯოს და რა ნახეს შიგ? ღვი-
ნით შეზარხოშებული და გაწითლებული იოსაკუ. რომლის
წინაშეც ჩვეულებისამებრ იდგა ცარიელი ბოთლი და ჰიქა.
იქვე ტამეეჩიც იჯდა, რომელსაც იოსაკუ მხიარულათ ება-
სებოდა.

ამ სურათის დანახვა უცნობთ ძლიერ გაუკვირდათ:
დიდ-ხანს იყვენ გაშეშებულნი ერთ ადვილას და ბოლოს ერ-
თმა მათგანმა დაარღვია სიჩუმე.

— მოხუცო, ეს რა ბოთლია?

— დაინა... გატონებო... ხომ არ მიიჩომევთ ერთ პი-
ქას? ხა... ხა... ხა... ხა...

— გაჩუმდი, ბრიყვო... განა დარაჯს ლოთობის ნება
აქვს?

— თუმცა ის დარაჯი სვამს... ხა, ხა, ხა, ხა, მაგრამ მე
მტკიცეთ ვასრულებ ჩესმს მოვალეობას. ხა, ხა, ხა, ხა!

— რა უგუნურობა! — დაიყვირა ერთმა უცნობთაგანმა,

— სულელო მოხუცო, განა არ იცი, რომ შენი სამსახუ-
რი შძიმეა და პასუხსაგები?

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა... ბატონი მაპატივეთ, თუ შეიძლებო-
დეს... ეს ჩემი შველი-შველია... ეს სუყოველთვის ესეთის
ლიმილით შეხვდება ხოლმე იმ იაპონელს, რომელიც ეკროპი-
ულათ არის გამოწყობილი. ხა, ხა, ხა, ხა!!

გაჩუმდი, უგუნურო!

ბევრი ყვირილის შემდეგ უცნობნი მოშორდენ და განა-
გრძეს გზის დათვალიერება. მოხუცმა იგინი თვალით გააცი-
ლა და წაიჩირჩულა:

ხედავ რა გულმოსულები არიან..., მხოლოდ გინება
სკოლნიათ... მალე მატარებელიც ჩამოივლის... მე ღვინოზე
წავალ, შენ-კი, ტამეკიჩი, აქ დარჩი... რა ძლიერ მტკიცა თავი!!.

მოხუცი გამოვიდა სადარაჯოდან, და რამდენიმე წუთის
შემდეგ დაბრუნდა ღვინის ბოთლით ხელში... ბოთლი ხელ-
სახოცში გაეხვია.

— რა კარგი სამელი ღვინოა! — ამბობდა მოხუცი და
თანაც ღვინოს ყლურწავდა. — დიდი ხანია ვიცი, რომ სამსა-
ხური ჩემი შძიმეა და პასუხსაგები... მაგრამ რაც გინდა დავ-
თვრე, მე მაინც კარგათ ვასრულებ ჩემს თანამდებობას... რო-
გორი სულელები არიან თვით ისინი, სურთ მასწავლონ ის,
რაც მე მათზე უკეთესათ ვიცი... სწორეთ გითხრა არ მესია-
მოვნა მათთან ლაპარაკი... მე მგონი იმათმა მრისხანებამ გააფუ-
ჭა ამინდი... შეხე, ცა რა რიგ მოიღორუბლა და მოიღუშა.

მალე სადარაჯოს წინ მატარებელმა გაიარა. მოხუცი ბაი-
რალით დახვდა და გაიცილა. მერე, რა დაბრუნდა სადარაჯო-
ში, კვლავ ღვინის სმას შეუდგა. ამინდი შეიცვალა... ტამეკიჩი
სახლში წასასვლელით უნდა აჩქარებულიყო, და როცა იგი



თავის მეგობარს ეთხოვებოდა, ლვინის ბოთლი, უკეთესობის ლი დაინახა.

აბრძ მანათო ქვერე დ ვ ა მ ა რ ი შ ხ ა ლ ი ც

სადილის შემდეგ წვიმა დაიწყო და მაღვ ქარიშხალიც ამოვარდა.

წვიმის ნიაღვარმა ტამეკიჩის სახლის სახურავი რამდენიმე ადგილის დაალბო და დახვრიტა. წყალი წურ-წურით ჩადიოდა თახაში. ბავშვის დედა მთელი ლამე მუშაობდა: ასწორებდა სახურავს და თახაში ჩამოსული დაგუბებული წყალი გარეთ გაჰქინდა. ტამეკიჩი-კი ვერასფერს ხედავდა და ტებილათ ჩაიძინა. მას ეს საშინელი ქარიშხალი სრულიათაც არ აწუხებდა. სახეზე ჩვეულებრივი ლიმილი უკროოდა. გათენებისას ტამეკიჩი წამოხტა ლოგინიდან და ყური დაუგდო. სრულიათ აღარ წვიმდა, შორიდან ადიდებული მდინარის ხმაურობა მოისმოდა.

არც პირი დაუბანია, არც არა უქამია-რა, ისე გაიპარა სახლიდან და თან „ბუჩი“ წაიყოლია.

უკვე სრულიად გათენდა... უა რუხის ფერი ლრუბლებით შეიმოსა; დილის ნოტიო ჰაერში მოისმოდა საშინელი ხმაურობა.

მრისხანე მდინარე სმიჯავა ტალღას ტალღაზე ისვრიდა, ბრაზობდა, ნაპირებს წალეკვას უქადდა.

სოფლის ქუჩებზე გლეხ-კაცნი სულ წინა ლამის საშინელ ქარიშხალზე ლაპარაკობდენ.

ტამეკიჩიმ და „ბუჩიმ“ სოფლის ტალახიანი გზა გაიარეს და საჩქაროთ რკინის გზის ლიანდაგზე ავიდენ.

მიუახლოვდენ თუარა სადარაჯოს, შეამჩნიეს მოხუცი ოსაეუ, რომელიც მიწაზე პირქვე იწვა. მისი სხეულის ერთი ნახევარი გარეო ეგდო, მეორე კი სადარაჯოში. მარჯვენა ხელში წითელი ფარანი ექირა მაგრათ, მარცხენა ხელი-კი დაემუქა. მთელი სახე დალმექილი ჰქონდა. სადარაჯოდან „ბუჩის“ ყეფაზე კატა გამოვარდა.

ტამეკიჩი შიშით უცქერდა თავის მეგობარს. უცებ საშინელი ხმაურობა მოესმა. მან ძალაუნებურათ მოარიდა, თვალი-მოხუცს და მდინარისაკენ გაიხედა.

საშინელ სურათს წარმოადგენდა ამ დროს მდინარე სტრუნაცელი კავკასიაში.

გუშინ მხოლოდ პატარა წყალი ან კარა და სასიამოენო მომდინარეობდა იმ ადგილას, სადაც დღეს მოჟქოლდა აღიღებული მდინარე, რომელსაც ნაპირები უკვე წაელევა. ტალღას ტალღაზე ისვრიდა და რკინის გზის ხიდსაც დანგრევას უქადდა. გაკვირვებული უმხერდა ტამეკიჩი ამ სურათს.

უცებ მის ყურამდი მოაღწია მომავალ მატარებლის. სტვენამ.

ამან თითქოს გამოაფხიზდა ბავშვი. ის, როგორც ელვა, შევარდა ოთახში, საჩქაროთ მონახა წითელი ბაირალი, მივარდა იოსაკიუს სხეულს და ბაირალი ხელში მისუა. მაგრამ იოსაკიუ სიცოცხლის ნიშნებს აღარ იძლეოდა. მაშინ ბავშვმა დიდის გაჭირვებით მოხუცი ზეზე წამოაყენა, მაგრამ როგორც-კი ხელი გაუშვა, იგი მოჭრილი ხესავით დაეცა მიწაზე.

-- იოსაკიუ, იოსაკიუ, გაიღვიძე, მატარებელი მოდის!, ჰყვიროდა ტამეკიჩი, მაგრამ როგორც-კი იგრძნო, რო მოხუცი. ვეღარ გააღვიძებდა, წამოავლო ხელი წითელ ბაირალს და მატარებლის შესახვედრიათ თვითონ გაიქცა.

მატარებელი ხიდს მხარიდან უახლოვდებოდა.

რკინის გზის ხიდი თითქმის ნახევრათ დანგრეული იყო, ლიანდაგი ზოგიერთ ადგილას პირდაპირ წყალზე ეკიდა. ტამეკიჩი გაცოცდა ლიანდაგზე... ქვეით ჰქენდა და ჰბლაოდა გაფიქებული მღინარე, მაგრამ ბავშვი ამას ყურადღებას არ აქცევდა და მატარებლასაკენ მიცოცავდა. ხელში წითელი ბაირალი ეჭირა მაგრათ და დრო-გამოშვებით აფრიალებდა, „ბუჩი“ კი საცოდავა ყიუილით უქან მისდევდა. როცა მათ წიდის ერთი მესამედი გაიაჩეს და დასვენება დაპირეს, მატარებელი უკვე ახლო იყო. ის მოისმა ჩვეულებრივი სტვენა, მატარებელი ეხლა ორმოც და ათ საუნზე-ლა იყო ხიდთან. ტამეკიჩი ხიდზე დადგა და წითელ ბაირალს დიდის სისწრაფით აფრიალებდა.

მემანქანემ, იღბლათ შენიშნა ბავშვი და წითელი ბაირალი. ცდილობდა შეეჩერებინა დიდის სისწრაფით მომავალი მატარებელი, მაგრამ ამაოთ, მატარებელი არ ჩერდებოდა.

გაიგო ტამეკიჩიმ, რომ იგი შეამჩნიეს მატარებლიდან,



თუ არ გაუგია, არ ვიკი, მაგრამ იგი მაინც ადრინდელწერობრივი მიცოცავდა მატარებლისაკენ. იმის და მატარებლის შეუა ეხლა იცდა ათი საქენი მანძილი-და ღარჩა,

მეზავრებმა შეამჩნიეს ბავშვი, რომელიც ხიდზე იდგა და ბაირალს აფრიოლებდა; ყველას სახეზე შიში იყო გამოხა-ტული.

„ბუჩიმ შეხედა ტამეკიჩის და მატარებლისაკენ გაექანა, მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ მისი პატრონი შეჩერდა, უკან დაბრუნდა და ბავშვს ტანისამოსში ჩაავლო კბილები.

ძალი წინ სწევდა მას, ოთხოს სთხოვდა ხიდი მალე დაეტოვებინა.

მაგრამ ტამეკიჩი არ იძვროდა. ლიმილით უცქეროდა ახ-ლა უკვე უკან დაბრუნებულს მატარებელს და განაგრძობდა ბაირალის ქნევას.

მოისმა რაღაც საშინელი ხმაურობა. ტამეკიჩიმ უნებუ-რათ მიიხედა მდინარისაკენ, საიდანაც ეს ხმაურობა მოისმო-და და დაინახა, რომ ხიდიდან სამოცი საქენის მანძილზე წყალს უშველებელი კედელსავით იყენებული ტალღები მოჰქონდა.

მთაზე გამდნარ თოვლის წყლის ნიალვარმა აავსო მდინა-რე და გაშმაგებული მოისწრაფოდა ხიდისაკენ.

„ბუჩი“-მ კვლავ წაავლო კბილები თავის პატრონს და გულ-შემზარავათ ყმუოდა.

ტამეკიჩი თოთქო არ ამჩნევდა მომავალ უბედურებს და ლიმილით უცქეროდა გაგიფებულს მდინარეს, რომელიც საკა ხიდს წაიღებდა.

აი ის უშველებელი ტალღათა კედელი უკვე ხიდთანაა. თავის სიდიდისა გამო ის ვერ გაივლის ხიდის ქვეშ და ხიდს მიაწვება უსათუოთ, აი მიაწვა კიდევაც... იხეთქა წყალმა და ხიდის ზედა ნაწილი მთლად წაიღო. ნახევრათ დანგრეული ხი-დი გიემაჟ ტალღებისაგან ეხლა უფრო აღვილათ ინგრეოდა... და ხიდზე მდგარი არსება ეხლა აღარ მოსჩანდა.

VII

ბაერვები გულმოღინეთ უგდებდენ ყურს ამ საშინელ ამ-ბაეს. როცა ბამუამ გაათავა, ყველამ მძიმეთ ამოიხვენეშა.

— მერე რა მოხდა ბაბუა ამის შემდეგ? — დაარღვია ჰინჭუმილია
მე ერთმა ყმაწვილმა, რომელსაც ტაიკი ერქვა.

ბაბუამ ტაიკის თავზე ხელი გადუსვა და განავრძო.

— ამის შემდეგ ი რა მოხდა: გამოუთქმელი მწუხარება.
ტამეკიჩის დედისა, ცნობა მოხუცი ითხავუს მოულოდნელი
სიკვდილის შესახებ, დავა იმის შესახებ, იყო თუ არა დილა-
ზე დათვალიერებული რეინის გზის ლიანდავი, დიდი სიხარუ-
ლი მგზავრთა უბედურობისაგან გადარჩენის გამო, მთავრობი-
საგან მემანქანის დაჯილდოება. ტამეკიჩის დედასთან რეინის
გზის მოსამსახურების მისვლა და სხვა... და სხვა.... მაგრამ
ყველაზე საშინელი და სატირელი იყო ცნობა იმის შესახებ,
რომ ხილიდან რვა ვერსის მანძილზე იპოვნეს ორი გვამი...
ერთი იყო გვამი ტამეკიჩისა, რომელსაც სახეზე ჩვეულებრივი
ღიმილი უკრთოდა, მეორე-კი მისის ძალის „ბუჩა-სა, რო-
მელსაც მაგრათ ჩავლო კბილები ბავშის ტანისამოსისთვის

(თარგმანი) ირაკლი ფერძე.

— ამის ამაგრივებელი მოვალეობა კარგი იყო.





ეს ოჯული პირველათ არაბერში შემოვიდა მეშვიდე საუკუნოში.

ამ დრომდის არაბეტში ცხოვრობდენ მრავალი პატარა ტომები, რომელნიც გაიყოფებოდენ თემებათ, გვარებათ, ოჯახებათ. ზოგი ოჯახები ცხოვრობდენ ჯგუფებათ ქაობიან და წყლის აუზებთან, აյ ნაყოფიერი მიწა აძლევდა მათ შეძლებას ემუშავნათ, გაეკეთებინათ ბალები, გაემზავლებინათ შინაური ცხოველები. ავრეთვე მიწის მუშაობა შეიძლებოდა არაბეთის ზღვის ნაპირებისაკენ. აქვე შეიძლებოდა ვაჭრობა, მრეწველობა, აქვე გაშენდა ქალაქები, რომელთაც ჰქონდათ დიდი საეკრო ქალაქების მნიშვნელობა მოელ არე მარებე. აქედან მოდიოდენ ყოველი სიკეთით საესე ქარავნები ეგვიპტეში და სხვა ქვეყნებში. ამ ქვეყნებთან არაბეთს ჰქონდა განუწყვეტლივი მისვლა-მოსვლა და ვაჭრობა. უმეტესათ ეს ხალხი ქუჩათ მავალი იყვნენ. იქ დაბინავდებოდენ ხოლმე; სა-



დაც კარგი საბალახოები ეგულებოდათ. შემდეგ ბალახი გამოელეოდათ, სხვაგან გადავიდოდენ, ახალ ადგილებში ცარ-ცვამდენ მცხოვრებლებს და დევნიდენ მათ.

სცარცვამდენ თავის მობინადრე მეგვარეების ქარავნებსაც, დამითი ძლიერ აფერხებდენ ვაჭრობის საქმეს, ხშირი ცარცვა, უთანწმოება წვრილ ტომებთა შორის, ამათი უსახსრობა, ყველაზე უფრო უხდენდა საქმეს შშეიდ მოქალაქეებს. ამიტომაც ამათში მომზიფდა ის აზრი, რომ შეერთებინათ რაიმე ძალით ეს დასაქსული წვრილი ტომები და ამთი ქვეყნაში დაემყარებინათ სიმშეიდე, რომელიც აუცილებლათ საჭირო იყო ვაჭრობისათვის.

თავ და პირველათ დაარსდა ადგილობრივი საზოგადოება — ვაჭრობა-მრეწველობის მფარველობისათვის. ასეთი იყო ვაჭრული კავშირი, რომელმაც დაიპყრო ქალაქი მექქა, ეს შუა გული ქალაქი იყო ქარავნებისთვის. იმისთავის რომ გამართულიყო მჭიდრო კავშირი ამ წვრილ ტომებთა შორის, საქმარისი არ იყო მათი ურთიერთ შორის ნათესავობა. სხვა ძალა უნდა გამოეძებნათ. და ეს ძალა ნახეს რელიგიურ რწმენაში ყველა ეს ტომები იყვენ კერპთ-მსახურნი. მათ ყველას ჰქონდათ ერთი და იგივე, რაიც ამტკიცებდა მათ ნათესაობას ებრაელებთან. მაგალითათ თქმულება აბრამზე და მის ვაჟზე ისმაილზე. ამ უკანასკნელს სთვლიდენ არაბელები თავის წინაპრათ. ამის გარდა ყველა ტომებს ჰყავდათ მრავალი წვრილი ღმერთები, მაგრამ სწამდათ ერთი, ყველასათვის საერთო ღმერთი — მფარველი (ალლაჰის).

ი ეს ღმერთი იყო შემაკავშირებელი ძალი ამ ტომებისათვის. მაგრამ რადგანაც მისი წარმოდგენა ძლიერ ბუნდოვანი იყო რომ შეერთებინა ეს ტომები, ვაჭრებმა მიჰმართეს ერთ ზომას: მისცეს მათ წინადადება აეშენებინათ ერთი ტაძარი, ალლაჰის სახელობისა, დაესვენებინათ ამ ტაძარში თვითოულ ტომს თავისი კერპები და ეს ტაძარი ყოფილიყო საერთო სალოცველი ადგილი ყველა არაბეთის ტომებთათვის. ასეთ ადგილათ აირჩიეს ქ. მექქა. ამ ქალაქში ინახებოდა შავი ქვა კააბა, რომელიც ძველი თქმულებით ღმერთმა გადასცა აბრაამს.

ასეთი წინადადება ყველას მოეწონა. თვითეულმა ტომმა ჩამოასვენა თავისი კერპები ამ ქალაქში. ყოველ წლიურათ აქ



იმართებოდა დიდებული დღესასწაულები მსხვერპლის შენაწყისა
ვათ. აქეე ამავე დროს იმართებოდა ბაზრობა. გაზაფხულობით
მექქაში დღესასწაულობდენ ვაზაზნულის დადგომას, სხვა გასა-
რთობთა შორის, ამ დღესასწაულის დროს, საუკეთესო არაბე-
თის შეოსნები ჰქონილობდენ თავის ნაწარმოებებს. მლო-
ცველებს რომ შესძლებოდათ მოსულიყვენ უშიშრათ მექქაში,
დაადგინეს წელიწადში რამდენიმე თვით შეეჩერებინათ ცარცუ-
და ქარავანებზე დაცემა. ამითი ვაკრებმა შესძლეს დროებით
მაინც ქვეყანაში შშილობინობა ჩიტოეგდოთ.

მაგრამ ამ რიგათ მოწყობილი მშვიდობიანობა მაინც არ იყო მჭიდრო და მაგარი, ცხოვრება კი დაუყოვნებლივ თხო-
ულობდა ამას. თვით ცხოვრება მოითხოვდა, რომ შეჯქმნილ-
იყო ისეთი რელიგიოზური კავშირი, რომ მას შესძლებოდა
სამუდამოთ შეერთებინა ეს ხალხი. აზრი ისეთი რელიგიისა-
და ებრაული ერთ კაცს, სახელით მაჰმედის. ყმაწვილი აღარ იყო
მაჰმედი, როდესაც გამოვიდა საზოგადოების ასპარეზზედ.
დიდხანს აკვირდებოდა ის თავის მეგვარეებს, არაბეთის მცხო-
ვრებლებს, ეცნობოდა სხვა და სხვა საჩრდინოებას — სხვათა შო-
რის ებრაელთა და ქრისტიანთა რჯულს.

მან მოინდომა შეერთებინა სხვა და სხვა რჯულის სარწმუნოება და შეექმნა ისეთი რჯული, რომელიც ყველაზე უფრო გამოიდგებოდა მის ხალხს. ზნობილი მხარე მაპალიანობისა სრულებით არის აღებული და კრისტიანთა სარწმუნოებიდან, მაპალიანს საჭირო ერთი ღმერთი, ყოვლად ძლიერი და კეთილი.

ପ୍ରକାଶକ ନାମ : ପାତ୍ରଚନ୍ଦ୍ର ପାତ୍ର ।



Открыта подписка на 1915 годъ
на газету

„Закавказская Рѣчъ“

(Годъ изданія шестой).

Подлинная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисѣ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
■ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
■ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
■ 1 мѣсяцъ	— 75 коп.	— 75 коп.

Отдельный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчъ“, Дворцовая ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчъ“. Редакторъ К. . Тумановъ Издатель Э. З Горделадзе.

თბილისის წიგნის მაღაზიებში და ავტორთან (თბილისი, ბარია-
თინგის ქუჩა, 6) იყიდება:

Характеристики и воспоминания

Кн. Г. М. Туманова.

სამი ნატოლი, ფასი თითო ნატოლისა — 50 კ.

შინაარსი: გ. წერეთელი. — თ. დავ. ერისთავი. — ვ. ჩერ-
ქეზიშვილი. — ა. ხახნაშვილი. — ვ. პეტრიშვილი. — ა. ყაზბე-
გი. — თ. რაფ. ერისთავი. — ნ. ბარათაშვილი. — თ. ვახტ. ორ-
ბელიანი. — ზ. ანტონოვი. — ლ. არდაზიანი. — ი. ნინოშვილი.
— გ. სუნდუკიანცი. — ა. ცაგარელი. — თ. ილ. ჭავჭავაძე. —
ქართული თეატრის ისტორიიდან. — რუსის და სომხის მწერ-
ლები და სხვა მოღვაწეები ჩვენში, და სხვ.

(10)



3/57



ქართლი

საუმანვილო ნახატებიანი ქურნალი
ოცდა მეექვე წელიწადი.

კუთაისი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1915 წ. ოვეში ერთხელ, ქურნალში ორი
განეოფილება, პატრიტიზათვის და მოზრდილთათვის.
შურნალი «ჯეჯილი» თბილისში ედირება
4 მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან.
ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კან.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში — «ჯეჯილის» რედაქციაში,
(არტილერიის ქუჩა, № 5.)

ფოსტის აღრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго
журнала „Джеджили“